

სსიპ შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

ზუგდიდის რაიონული სასამართლო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ერთი მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის წარმოადგენს რექტორი თეონა ხუფენია და, მეორე მხრივ, ზუგდიდის რაიონული სასამართლო (შემდგომში „რაიონული სასამართლო“), რომელსაც წარმოადგენს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე – ნატრული აკობია საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1 მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას.

აღნიშნული მიზანი გამოიხატება სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული „სამართლის“ სპეციალობის სტუდენტებისათვის პრაქტიკული და დარგობრივი კომპონენტების გავლის უზრუნველყოფით.

მუხლი 2. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად „რაიონული სასამართლო“ ხელს უწყობს, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მათი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოცულობისა და დატვირთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლას, სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოფილი მენტორების (ხელმძღვანელების) მეთვალყურეობის ქვეშ.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას. რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის „რაიონული სასამართლო“ უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, განახორციელებს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და ადასტურებს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლას სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი. 3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი იდება 5 წლის ვადით და ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მუხლი .4.

სხვა პირობები

4.1. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.2. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო

უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

4.3. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

**სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი
თეონა ხუფენია**



**ზუგდიდის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარე**

ნატრული აკობია

